# სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის

# 2024 წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო დელეგატებო, მოწვეულო სტუმრებო, როგორც მოგეხსენებათ ბაფის სარევიზიო კომისია, მისი დებულების შესაბამისად ამოწმებს გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებთან შესაბამისობასა და მათი შესრულების მდგომარეობას, შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობას, მათი შესაბამისობის ხარისხს დაგეგმილ ბიუჯეტთან.

სარევიზიო კომისიის წევრებმა თინათინ ღვინიფაძემ, მაგდა გორდეზიანმა და ლალი კობიძემ, მიმდინარე წლის 5 დეკემბრიდან 17 დეკემბრამდე პერიოდში, ჩავატარეთ ბაფის 2024 წლის საქმიანობის შემოწმება, ბაფის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ბაფის საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება.

საქმიანობის სფეროების მიხედვით ჩატარებული შემოწმების შედეგები:

## 1. გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა

- **გამგეობის საქმიანობა**

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა (წესდებით დადგენილია მინიმუმ 4 სხდომის ჩატარება). სარევიზიო კომისია გაეცნო გამგეობის სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს და გაანალიზა სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობა.

კომისიის აზრით, გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და მისი შესრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებიდან მიზანშეწონილია გამოვყოთ:

- ბაფის კონცეფცია „მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლების გზით“;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ დებულება;
- ბაფის მმართველობისა და მენეჯმენტის დებულება;
- სამცხე-ჯავახეთში რეგიონული ფილიალის შექმნა და წარმომადგენლის დანიშვნა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფილიალების წრის გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ, სარევისიო კომისიის მიერ 2023 წლის ანგარიშით გამგეობისადმი გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელსაც გამგეობამ უპასუხა 2024 წლის ოქტომბერში სამცხე ჯავახეთის რეგიონული ფილიალის დაფუძნებით.

**საქმიანობის შეფასება:** საანგარიშო პერიოდში გამგეობის საქმიანობას ვაფასებთ დადებითად. შეფასების საფუძველია: წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული სხდომები და განხილული საკითხები; გამგეობის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება; სარევიზიო კომისიის რეკომენდაციის პრაქტიკული განხორციელება.

- *კომიტეტების საქმიანობა*

ბაფში, მიმდინარე ეტაპზე, ფუნქციონირებს 9 კომიტეტი. კომიტეტების საქმიანობის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია „კომიტეტების საქმიანობის შესახებ" დებულებით, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

ყველა კომიტეტის დებულება და სამოქმედო გეგმები გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. თითოეულ კომიტეტს გაწეული აქვს მნიშვნელოვანი სამუშაოები. კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული მასალისა და მათთან კომუნიკაციით მიღებული ინფორმაციის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დავრწმუნდით, რომ თითოეული კომიტეტი მოქმედებდა დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების ფარგლებში. ძირითადად, შესრულებულია საანგარიშო წლის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოები.

რამდენადაც, კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდებში გაწეული საქმიანობის მიმოხილვა, როგორც წესი, ხდება გამგეობის წლიურ ანგარიშებში, კომისიამ მათი საქმიანობის უფრო დეტალური მიმოხილვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

**საქმიანობის შეფასება:** საანგარიშო პერიოდში კომიტეტების საქმიანობას, განზოგადებულად, ვაფასებთ დადებითად.

## 2. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის შეფასება

- *საქმიანობის შესაბამისობა წესდებასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან*

აღმასრულებელი სტრუქტურა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდაგანაწესითა და ბაფის „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით". ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები ჩამოყალიბებული და გამიჯნულია. თანამშრომელთა

ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია შრომის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია: ბაფის ვებგვერდის; ფეისბუქგვერდის; ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება საქმიანობის სიახლეები, ბაფის შიდა ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, საქმიანობის ანგარიშები და სხვა.

სარევიზიო კომისიას მიაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის შიდა კონტროლისა და მართვის სისტემა გამართულია და შესაბამისობაშია ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან.

- ***2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობა ფაქტიურ შედეგებთან***

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ ბიუჯეტს ასევე, საქმიანობის წლიური ფინანსურ შედეგებსა (ფინანსური ანგარიშგება) და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს გამგეობა. ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება სავალდებულოა და აუდიტორს ნიშნავს გამგეობა. დეტალური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის, გასული წლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“ და გამოქვეყნებულია ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“.

შესამოწმებელი პერიოდის (11 თვე) გათვალისწინებით, ჩვენ ვერ წარმოვადგენთ 2024 წლის შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ შედეგებს, თუმცა მიგვაჩნია, რომ 11 თვის შედეგები იძლევა შესაბამისი დასკვნის გაკეთების საშუალებას.

წარმოგიდგენთ ბაფის 2024 წლის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების 11 თვის მონაცემებს. აქვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სარევიზიო კომისიის მიერ 2023 წლის ანგარიშით გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, 2024 წლიდან სათაო ოფისისა და ფილიალების საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა ხდება ცენტრალიზებულად. ამდენად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფილიალებსაც.

## ბაფის 2024 წლის ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯების მუხლობრივი შედარება დაგეგმილთან (ლარში)

| | **შემოსავლები** | **დაგეგმილი წლიური ბიუჯეტით** | **ფაქტიური (11 თვე)** |
|---|---|---|---|
| 1 | საწევრო შენატანებიდან | **368,680** | **315,816** |
| 2 | განათლება და სერტიფიცირება | **499,245** | **492,643** |
| 3 | სხვა შემოსავლები | **135,100** | **156,154** |
| 4 | გრანტის საქმიანობიდან | **173,750** | **255,220** |
| | **შემოსავლების ჯამი** | **1,176,775** | **1,219,833** |
| | **ხარჯები** | | |
| 1 | წევრების მომსახურება | **361,382** | **315,165** |
| 2 | განათლება და სერტიფიცირება | **507,025** | **458,569** |
| 3. | სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები | **132,620** | **129,600** |
| 4. | გრანტის საქმიანობა | **173,750** | **255,220** |
| | **ხარჯების ჯამი** | **1,174,777** | **1,158,554** |
| | შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე | **1, 998** | **61,279** |

**განმარტება, მოსალოდნელი წლიური შედეგების თვალსჩინოების მიზნით:** მთავარი ბუღალტრისგან მიღებული ინფორმაციით, 2024 წლის დეკემბერში მოსალოდნელია 30,000 ლარის (განგრძობითი განათლებიდან) შემოსავლების მიღება, ხოლო ხარჯები (ხელფასი, იჯარა, განათლება) 55,000 ლარის ფარგლებში.

**საქმიანობის შეფასება:** სარევიზიო კომისია დადებითად აფასებს აღმასრულებელი სტრუქტურის საანგარიშო პერიოდის საქმიანობას.

**სარევიზიო კომისიის წევრები:** თინათინ ღვინიფაძე (თავმჯდომარე)

მაგდა გორდეზიანი

ლალი კობიძე